ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17

ქ. თბილისი

15 იანვარი 2021 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მისამართი: ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს 3 (სამი) ერთეული ავტომანქანა „ჰიუნდაი აიონიქის“ ტექნიკურ მომსახურებას (ავტომანქანების მიმდინარე რემონტი და სათადარიგო ნაწილები) ხელშეკრულებაზე თანდართული ჩამონათვალის, რაოდენობისა და ფასების მიხედვით (დანართი №1) „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად (კლასიფიკატორის კოდი 50110000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევა ხდება „მიმწოდებლის“ მიერ ეტაპობრივად, 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად „მიმწოდებლის“ მისამართზე.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

4.2 „მიმწოდებელმა“ მომსახურების გაწევის შემდეგ „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტი - საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ მომსახურების გაწევისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. გარანტია

6.1 „მიმწოდებელი“ იძლევა მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების აღნიშნულ სფეროში არსებული სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს მიწოდებული უხარისხო საქონლისა და უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6.3 „მიმწოდებლის“ მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით „მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხიდან.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოწოდების ვადების შემოწმების გზით;

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

1) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი – ზაზა ნიკოლეიშვილი;

2) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი – გოჩა რუსიშვილი;

3) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი – ვახტანგ ფხაკაძე.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.3.1. შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-15[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების დადების შემდეგ პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება „შემსყიდველი“ ორგანიზაციისა და „მიმწოდებლის“ შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს;

9.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს სრული ან ნაწილობრივი მომსახურება;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

12.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 15 იანვრიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურისათვის – 4001
ა/ა №GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი - 203840344

„შემსყიდველის“ სახელით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ილია ტარასაშვილი

„მიმწოდებელი“:

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის
ხეივანი მე-12კმ.

სს „თიბისი ბანკი“

ა/ა №GE96TB0600000360200182
კოდი TBCBGE22

საიდენტიფიკაციო კოდი 204478948

„მიმწოდებლის“ სახელით:

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“
პრეზიდენტი

დავით გიორგობიანი

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC

Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2021.01.15 15:42:05 +04'00'

Digitally signed by special state protection service of georgia

დანართი

№	ა/მ დასახელება	სახ№	საიდენ№	გამოშვების წელი	ძრავის ტიპი	ძრავის მოცულობა	გადაცემათა კოლოფი
1	ჰიუნდაი აიონიქი	MM-064-OM	KMHC751CGLU217068	2020	ბენზინი	1580	ავტომატიკა
2	ჰიუნდაი აიონიქი	MM-066-OM	KMHC751CGLU216959	2020	ბენზინი	1580	ავტომატიკა
3	ჰიუნდაი აიონიქი	MM-067-OM	KMHC751CGLU216948	2020	ბენზინი	1580	ავტომატიკა

ჰიუნდაი IONIQ HYBRID1.6 2020 წლის მოდელი

	სათადარიგო ნაწილი / საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი ლარი	ერთეულზე მომსახურების ფასი ლარი
1	წინა სამუხრუჭე დისკო	ცალი	320	25
2	უკანა სამუხრუჭე დისკო	ცალი	403	50
3	საწვავის ფილტრი	ცალი	120	150
4	ანთების ელექტრო კოჭა	ცალი	240	25
5	ჰიბრიდული სისტემის გენერატორის ღვედი	ცალი	165	70
6	ჰიბრიდული სისტემის გენერატორის ღვედის დამჭიმი	ცალი	270	70
7	ჰიბრიდული სისტემის გენერატორის ღვედის ჰიდრავლიკური დამჭიმი	ცალი	760	70
8	ორმაგი გადაბმულობის ქურო	კომპლექტი	2630	320
9	ორმაგი გადაბმულობის საკისარი	ცალი	450	320
10	წინა ამორტიზატორი	ცალი	430	50
11	უკანა ამორტიზატორი	ცალი	350	40
12	წინა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	110	50
13	უკანა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	75	40
14	წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	80	50
15	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	85	40
16	წინა ამორტიზატორის საკისარი	ცალი	95	50
17	წინა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	25	50
18	უკანა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	20	40
19	საჭის ღერძი	ცალი	1300	175
20	საჭის ღერძის ბორბალი	ცალი	405	50
21	საჭის ღერძის დაბოლოება	ცალი	102	20
22	საჭის ღერძის წევა	ცალი	120	20
23	წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა)	ცალი	420	50
24	დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი	ცალი	55	40
25	დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა	ცალი	50	40
26	ბურთულოვანი სახსარი	ცალი	110	25
27	წინა მორგვი საკისარით	ცალი	530	50
28	უკანა მორგვი საკისარით	ცალი	510	50
29	მორგვის ჭანჭიკი	ცალი	7	40
30	საბურავის სამაგრი ქანჩი	ცალი	7	0
31	ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა)	კომპლექტი	1280	50
32	ყუმბარა გარეთა მხარე	ცალი	865	50
33	ყუმბარა შიდა მხარე	ცალი	580	50
34	გარეთა ყუმბარის სამტვერული	ცალი	115	50
35	შიგნითა ყუმბარის სამტვერული	ცალი	105	50
36	გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი	ცალი	380	50

37	ძრავის ქვედა სამაგრი	ცალი	445	50
38	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	ცალი	17	20
39	მშრალი ამორტიზატორის მჭიდი	ცალი	10	10
40	წინა ღერო	ცალი	95	20
41	სიგნალი	ცალი	65	20
42	საქარე მინის საწმენდი	ცალი	70	5
43	ჰალოგენის ნათურა	ცალი	65	15
44	წინა ფარის ნათურა	ცალი	40	10
45	გაბარიტის ნათურა	ცალი	10	10
46	უკანა სტოპ ნათურა	ცალი	22	10
47	სამუხრუჭე სითხე	1 ლიტრი	60	–
48	ანტიფრიზი	1 ლიტრი	17	–
49	ყინვაგამძლე სითხე	1 ლიტრი	17	–
50	კონდიციონერის ფრეონი	100 გრ	65	–
51	სამუხრუჭე სითხის შეცვლა	კომპლექტი	–	80
52	ანტიფრიზის შეცვლა	კომპლექტი	–	40
53	კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა	კომპლექტი	–	60
54	საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება	ცალი	–	15
55	განშლა	კომპლექტი	–	40
56	საჭის მექანიზმის მოხსნა-დაყენება	ცალი	–	175
57	საჭის მექანიზმის აღდგენა	ცალი	–	175
58	კომპიუტერული დიაგნოსტირება	კომპლექტი	–	40
59	სალონის საფენი	კომპლექტი	190	

ს.ს. ჰიუნდაი ავტო საქართველო
სერვისის დირექტორი

ა. ხვედელიძე

ავტომობილის სერვისის მომსახურების ფასები ლარში), ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში

ავტომობილის გეგმიური მომსახურების ღირებულების ცხრილი (ცხრილი #2)

№	სათადარიგო ნაწილების დასახელება	ბრენდი	მახასიათებელი/ზომა ზომილება	ერთ ჯერზე შესაცვლელი საჭიროების რაოდენობა	ერთ.ფასი	სერვისის ღირებულება	2000 კმ	12000 მ	22000 მ	32000 კმ	42000 კმ	52000 კმ	62000 კმ	72000 კმ	82000 კმ	92000 კმ	ჯამი
1	ძრავის ზეთის ხარჯი	შელი	ლიტრი	4	20.00	0.00	80.00	80.00	80.00	80.00	80.00	80.00	80.00	80.00	80.00	80.00	800.00
2	ძრავის ზეთის ფილტრის ხარჯი	ჰიუნდაი	ცალი	1	20.00	15.00	35.00	35.00	35.00	35.00	35.00	35.00	35.00	35.00	35.00	35.00	350.00
3	წინა ხუნდების ხარჯი	ჰიუნდაი	კომპლექტი	1	200.00	15.00			215.00			215.00			215.00		645.00
4	უკანა ხუნდების ხარჯი	ჰიუნდაი	კომპლექტი	1	150.00	15.00					165.00				165.00		330.00
5	ჰაერის ფილტრის ხარჯი	ჰიუნდაი	ცალი	1	30.00	0.00			30.00		30.00		30.00		30.00		120.00
6	კონდიციონერის ფილტრის ხარჯი	ჰიუნდაი	ცალი	1	60.00	10.00				70.00			70.00			70.00	210.00
7	ანთების სანთელების ხარჯი	ჰიუნდაი	ცალი	4	37.50	20.00						170.00					170.00
8	საწვავის ფილტრი	ჰიუნდაი	ცალი	1	80.00	50.00					130.00				130.00		260.00
9	ჰიბრიდული ძრავის გადამულობის აქტუატორის სითხე	შელი	ლიტრი	2.5	22.00	40.00						95.00					95.00
10	ჰიბრიდული სისტემის გენერატორის ღვედი	ჰიუნდაი	ცალი	1	100.00	70.00							170.00				170.00
	ჯამი ლარი				719.50	235	115	115	360	185	440	595	385	115	655	185	3150.00